ნასყიდობის ხელშეკრულება

თბილისი -- აგვისტო 2022 წელი

ერთი მხრივ **შპს „ბათუმის აეროპორტი“** (ს/კ: 245 426 882, შემდგომში - „გამყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის მურათ ჯევჰერის მიერ და
მეორე მხრივ, ----------, შემდგომში - „მყიდველი“), წარმოდგენილი მისი ----- მიერ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით, ------- აუქციონის პირობების და შედეგების შესაბამისად, გამყიდველი მყიდველს მიჰყიდის ----- ლითონის ჯართს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ (ყველა გადასახადის ჩათვლით).

1.2 აუქციონის პირობები წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. წინამდებარე ხელშეკრულება და აუქციონის პირობები ავსებს ერთმანეთს. მათ შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება აუქციონის პირობებს.

2. მხარეთა ვალდებულებები და ზოგადი პირობები

2.1 გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს 1.1. პუნქტში მითითებული ნასყიდობის საგანი. ხოლო მყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს გამყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ღირებულება სრულად.

2.2 გამყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს მყიდველის წარმომადგენლების დაშვება აეროპორტის ტერიტორიაზე. საამისო ერთჯერადი საშვების ღირებულება ან მათთან დაკავშირებული არავითარი ხარჯი მყიდველს არ დაეკისრება. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი რეისის შესრულება ესაჭიროება მყიდველს აეროპორტის ტერიტორიაზე, გამყიდველმა შეიძლება მოსთხოვოს გამყიდველს მრავალჯერადი საშვის აღება იმ სატრანსპორტო საშუალებებისა და მძღოლისათვის, რომელსაც იყენებს მყიდველი. ასეთ შემთხვევაში, მძღოლის ტრენინგისა და საშვის თანხას მყიდველი გაიღებს.

2.3 გამყიდველი ნებას დართავს მყიდველს შეიტანოს აეროპორტის ტერიტორიაზე სათანადო აღჭურვილობა გაყიდული საქონლის ადგილზე დასამუშავებლად (დასაჭრელად, დასაშლელად თუ სხვა).

2.4 მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საკუთარი რესურსებით განახორციელოს ნასყიდობის საგნის ტრანსპორტირება აეროპორტის ტერიტორიიდან და აეროპორტის ტერიტორიაზე მუშაობისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები და ხელი არ შეუშალოს ან საფრთხე არ შეუქმნას აეროპორტის უსაფრთხო და შეუფერხებელ ოპერირებას, ასევე, გამყიდველთან ორმხრივი შეთანხმებით, გაიტანოს ჯართის განთავსების ადგილზე დარჩენილი ნაგავი.

2.5 იმ შემთხვევაში, თუ მეტალის ცალკეული ნივთი შეიცავს არა-მეტალის ისეთ ჩანართებს, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია ან მოითხოვს არაგონივრულ ძალისხმევას, ანდა კოროზირებულია იმდენად, რომ კოროზიის გამო არ აქვს შენარჩუნებული მთლიანობა, მხარეთა წარმომადგენლების შეთანხმებით დასაშვებია აწონვის შედეგის კორექტირება არაუმეტეს -10% - ით.

2.6 თუ ცალკეული ნივთი შეიცავს სხვა მეტალის დეტალებს, რომელთა გამოცალკევება შეუძლებელია ანდა მოითხოვს არაგონივრულ ძალისხმევას, ფასი განისაზღვრება შემადგენელი მეტალების შეწონილი ფასით, იმის მიხედვით, თუ დაახლოებით რა წილი უჭირავს მასში თითოეული სახის მეტალს. მაგალითად, თუ ნივთის შემადგენლობაში შედის შავი მეტალი და ალუმინი და შავი მეტალის წილია დაახლოებით 70%, ხოლო ალუმინისა - 30%, ხოლო ნივთი იწონის 100 კილოგრამს, 70 კილოგრამის ფასი გადახდილი იქნება შავი მეტალის ფასით, ხოლო 30 კილოგრამის ფასი გადახდილი იქნება ალუმინის ფასით. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებული მეტალის ფასი განისაზღვრება ამ მეტალის ჯართზე დამკვეთის ბოლო აუქციონის შედეგად მიღებული ფასით ან დამკვეთის ხელთ არსებული აუდიტის დასკვნით, რომლითაც მეტი იქნება.

3. ანაზღაურების პირობები და ვადები

3.1 მყიდველის მიერ გამყიდველისთვის ასანაზღაურებელი საერთო ღირებულება განისაზღვრება აუქციონით დადგენილი ფასის და ჯართის რაოდენობის შესაბამისად.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება წინასწარ, საქონლის ყოველი ნაწილის გატანის წინ, ან დეპოზიტის მეშვეობით, რომელიც გაიქვითება ბოლო გატანისას.

4. სხვა პირობები

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

4.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე.

4.3 მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები. ამ შემთხვევაში დამატებითი შეთანხმება გაფორმდება წერილობითი ფორმით.

4.4 ყველა სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკებით, ხოლო მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში. გამყიდველის სასარგებლოდ გამოტანილი ნებისმიერი ინსტანციის გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

5. გამყიდველის ჰოლდინგის ანტიკორუფციული პოლიტიკა

5.1 ანტიკორუფციული რეგულაციების მოთხოვნების შესრულება
მყიდველი აღიარებს, რომ გამყიდველის მმართველი კომპანია „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“ არის მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი Groupe ADP-ის წევრი და მასზე ვრცელდება მთელი რიგი სავალდებულო ეთიკური წესები, რომელთა დაუმორჩილებლობამ და შეუსრულებლობამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს „ტავისა“ და/ან Groupe ADP-ის წევრებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე უზრუნველყონ კორუფციასთან ბრძოლასთან დაკავშირებული ყველა ეროვნული და საერთაშორისო კანონის, რეგულაციისა და სტანდარტის მოთხოვნათა შესრულება. აღნიშნული განსაკუთრებით

გულისხმობს ვალდებულებას შესრულებულ იქნეს ყველა ის კანონმდებლობის მოთხოვნა, რომელიც მიმართულია კორუფციის, გავლენებით ვაჭრობის, უკანონოდ მითვისების, არაკანონიერი ინტერესის გამოვლენის, საზოგადოების კუთვნილი თანხების გაფლანგვის, ფავორიტიზმისა თუ მოუსყიდველობისა და წესიერების დარღვევის სხვა გამოვლინებათა დანაშაულებრივად ცნობისკენ იმ ქვეყნებში, რომლებშიც მხარეები ეწევიან თავიანთ საქმიანობას. აღნიშნული აგრეთვე გულისხმობს მოცემულ ტერიტორიაზე არსებული და მოქმედი ყველა ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. მოლაპარაკებამ და ხელშეკრულებათა გაფორმებამ არ უნდა გამოიწვიოს ისეთი ქმედებებისა თუ ფაქტების წარმოქმნა, რომლებიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც აქტიური თუ პასიური კორუფცია, ხელშემწყობი გადახდები ან გავლენებით ვაჭრობაში თანამონაწილეობა. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ პარტნიორებისათვის ან მის პარტნიორებთან დაკავშირებული პირებისათვის არასათანადო ანაზღაურებათა დაჟინებით მოთხოვნის, შეთავაზებისა თუ გადახდისაგან. ისინი იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მათი პერსონალის ყველა წევრის მიერ მოცემული ვალდებულების შესრულება. მხარეები ასევე კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ ერთგულების, კეთილსინდისიერებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნას, რომელთა პირობებშიც უნდა წარიმართოს სახელშეკრულებო მოლაპარაკებები და არანაირი უპირატესობა არ შესთავაზონ პარტნიორებსა და პოტენციურ კლიენტებს (მიწვევები, საჩუქრები და სხვ.), თუმცა კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას შეიძლება თან სდევდეს ზომიერი და გამჭვირვალედ არსებული სიმბოლური ფასის მქონე წამახალისებელი საჩუქრების გაცვლა, გონივრული თანხების ფარგლებში არსებული მიწვევები ვახშამზე და მისთ., პროფესიული მიწვევები Groupe ADP-ის მიერ თავის "Groupe ADP-ის ეთიკის კოდექსში“ გაწერილი წესების დაცვით, რომლებიც გამოქვეყნებულია მის ვებ-გვერდზე: https://www.parisaeroport.fr/en/group/csr/ethics-and-compliance/codes-of-conduct მრავალ ენაზე, ეს მიღებული პრაქტიკა შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ მოლაპარაკებებისაგან და ხელშეკრულების გაფორმებისაგან თავისუფალ პერიოდებში.

მხარეები იღებენ ვალდებულებას, არ მოახდინონ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება ან დაჟინებით მოთხოვნა საკუთარი თავისა თუ რომელიმე მესამე მხარისათვის უპირატესობის შემცველი მოპყრობის მოპოვების მიზნით.

5.2 კორუფციის თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი შიდა სისტემის შექმნა

მხარეები აღიარებენ, რომ მათ საკუთარ კომპანიაში დანერგეს ან, სადაც ეს უპრიანია, ვალდებულებას იღებენ, რომ დანერგავენ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი თვის ვადაში ისეთი სისტემა (რომელიც შედგება სათანადო წესების, სისტემების, პროცედურებისა და კონტროლის საშუალებებისაგან), რომელიც თავიდან აგვაცილებს კორუფციის, გავლენებით ვაჭრობის, უკანონოდ მითვისების, არაკანონიერი ინტერესის გამოვლენის, საზოგადოების კუთვნილი თანხების გაფლანგვისა და სამართლიანობისა და პატიოსნების დარღვევის სხვა გამოვლინებათა განხორციელებას. აღნიშნული სისტემა ადაპტირებული და მორგებულია ყოველი მხარის მოცულობასა და ორგანიზაციის ფორმაზე. იგი ასევე ადაპტირებულ უნდა იქნეს იმ ცვლილებებისადმი რეგულაციებში, რომლებიც ამ მუხლის I პუნქტშია მითითებული: „კორუფციასთან ბრძოლასთან დაკავშირებული რეგულაციების მოთხოვნების შესრულება“. მხარეები ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ აღნიშნული სისტემის მოქმედება ყოველგვარი შეჩერებისა და შეფერხებების გარეშე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.

5.3 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ და გამოხატონ სრული გამჭვირვალობა ერთმანეთისადმი რეგისტრირებული წერილის მეშვეობით, რომლის მიღებაც დადასტურებულ უნდა იქნეს, შემდეგ გარემოებათა დადგომის თაობაზე დაუყოვნებლივ შეტყობინების გზით: კომპანიის, მისი რომელიმე თანამშრომლისა თუ წარმომადგენლის დამნაშავედ ცნობა კორუფციის, გავლენებით ვაჭრობის, უკანონოდ მითვისების, არაკანონიერი ინტერესის გამოვლენის, საზოგადოების კუთვნილი თანხების გაფლანგვის, ფავორიტიზმისა თუ მოუსყიდველობისა და წესიერების დარღვევის სხვა გამოვლინებათა ჩადენის გამო; და უფრო ზოგადად, დამნაშავედ ცნობამდე ანტიკორუფციული რეგულაციების ნებისმიერი სხვა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, განსაკუთრებით წინამდებარე მუხლის II პუნქტის თანახმად დანერგილი სისტემის ფარგლებში. მხარეები იღებენ ვალდებულებას, ერთმანეთს პირველივე მოთხოვნისამებრ მიაწოდონ წინამდებარე მუხლის II პუნქტში მითითებული სისტემის ეფექტური დანერგვისა და ფუნქციონირების დასტური. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, თავიანთ თანამშრომლებს აუცილებლად გააცნონ საკუთარი განგაშის სისტემის გამოყენების მეთოდები. ეს ინფორმაცია ასევე ითვალისწინებს დაცვას ინფორმატორების მოქმედებისაგან. მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი მომწოდებლების მიერ წინამდებარე მუხლში წარმოდგენილი პრინციპების დაცვა.

5.4 ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობა

ზემოთ III პუნქტში მითითებულ შემთხვევაში და/ან ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია, დაუყონებლივ მოშალოს ხელშეკრულება

5.5 კონტროლის საშუალებები და შემოწმებები

შემსყიდველი აცხადებს რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იგი აწარმოებს ჩანაწერებს, აღრიცხვას, ჟურნალებსა და ანგარიშ-ფაქტურებს სიზუსტის დაცვით და თანახმაა მასზედ, რომ გამყიდველი უფლებამოსილია, თუ იგი ამას ჩათვლის საჭიროდ, გარედან მოწვეული აუდიტორების დახმარებით მოახდინოს შემსყიდველის ყველა ჩანაწერების, აღრიცხვის, ჟურნალების, ანგარიშ-ფაქტურებისა და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება შესაბამისი ანტიკორუფციულ კანონებთან და რეგულაციებთან, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში და თანხმობით.

გამყიდველი	**მყიდველი**
შპს „ტავ ურბან საქართველო“ ს.კ: 206203491	**********
უფლებამოსილი წარმომადგენელი	სახელი, გვარი _____
_____	